



„ეს შენ გეხება“ შსს-ს მოქალაქეების სატელეფონო და ინტერნეტ კომუნიკაციაზე პირდაპირ წვდომას საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს

კამპანიაში „ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ“ მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებმა ე.წ. ფარული მოსმენების კანონთან დაკავშირებით კონსტიტუციური სარჩელის პრევენტაცია გამართეს. მოქმედი კანონმდებლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობას აძლევს რეალურ დროში, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ფარული საგამოძიებო მოქმედებები აწარმოოს და ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებიდან მონაცემთა ბანკების კოპირება სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე განახორციელოს.

კამპანიაში „ეს შენ გეხება“ გაერთიანებული ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ კანონში არსებული ნორმები, რაც ამას შესაძლებელს ხდის, მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს ლახავს და საკონსტიტუციო სასამართლოს ამ რეგულაციების გაუქმების მოთხოვნით მიმართავენ. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მოქმედი კანონმდებლობა ეწინააღმდეგება:

- საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტს, რომლითაც გარანტირებულია ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრების, საქმიანობის ადგილის, მიმონერისა და საუბრის ხელშეუხებლობა;
- საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც ადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას;
- საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის მიხედვითაც

